# ხელი

ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ. ილია

№1, ივნისი, 2015

**გამოცემა მომზადებულია სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა“ ფარგლებში**


## ვეცნობით ახალ ხელისუფლებას

2015 წლის 30 იანვარს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამის - „მომავლის თაობა“ სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლის (გურიანთა, სოფელ ოზურგეთი, მაკვანეთი, ქვედა ბახვი, ურეკი, კონჭკათი) სამოქალაქო კლუბის ლიდერმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ თავიანთ თემებში გამოვლენილი პრიორიტეტული საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გამგებლის მოადგილეები არჩილ ყაზაიშვილი და გიორგი ღურჯუმელიძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ბადრი გობრონიძე, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე მგელაძე. შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე, ნანა თავდუმაძე და ლელა საჯაია. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ გამგებლის წარმომადგენლები ზემოთხსენებულ ტერიტორიულ ერთეულებში და მასმედია. შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა, დაისახა თანამშრომლობის კონკრეტული გზები. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს ახალგაზრდულ ინიციატივებს, რომელთა განხორციელება მომდევნო 2 თვის განმავლობაში დაიგეგმა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე თითოეულ პრეზენტაციას გამოეხმაურა და დასახელებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

სოფელ მაკვანეთის, სოფელ ოზურგეთისა და სოფელ კონჭკათის სამოქალაქო კლუბებს წარმოდგენილი ჰქონდათ ინიციატივები თემში დასუფთავების კამპანიის წარმოების შესახებ. სამივე კლუბს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი შეჰპირდა დასუფთავებისთვის საჭირო ინვენტარს (ხელთათმანები, ერთჯერადი პარკები), ასევე აღნიშნა რომ თავად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთვება დასუფთავების აქციაში, ხოლო ოზურგეთის დასუფთავების სამსახური გაიტანს შეგროვებული ნაგვის ნარჩენებს. სოფელ კონჭკათის სამოქალაქო კლუბს დასუფთავების აქციის პარალელურად დაგეგმილი აქვს გამწვანებითი სამუშაოები, რისთვისაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოუყოფს სამუშაო იარაღებს და უსასყიდლოდ გადასცემს ნერგებს.

დაბა ურეკის სამოქალაქო კლუბს წარმოდგენილი ჰქონდა პროექტი სკოლის წინ სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის მოწყობის თაობაზე. როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, დაბა ურეკში მომდევნო ორი წლის მანძილზე იგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც ამ ეტაპზე მუდმივმოქმედი შემზღუდველი ბარიერის დამონტაჟება ვერ ხერხდება, თუმცა მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილებისთვის დროებით მოეწყობა სიჩქარის შემზღუდველი ბარიერი.

დამსწრე აუდიტორიას სიტყვით მიმართა ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ: ,,ძალიან მიხარია რომ ასეთი შეხვედრა შედგა. მოსწავლეები პრობლემას ხედავენ და თან სურვილი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ამ პრობლემის გადაჭრაში. მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ აქ დასახელებული პრობლემები მოგვარდეს, მოინახება ყველა გზა



საამისოდ. მე მახარებს მოსწავლეების ქცევა, მათი აქტიურობა, ეს უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ყალიბდებიან სრულფასოვან მოქალაქეებად, მათი აქტიურობა კი სამომავლოდ ხელისუფლებას გაააქტიურებს“.

ანა ჰუგასიანი, სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის მოსწავლე: ,,შედეგიანი შეხვედრა გამოვიდა. ჩვენ, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა წარმოვადგინეთ ჩვენს სკოლაში, თემში არსებული პრობლემები პრეზენტაციის სახით, მოწვეულმა სტუმრებმა კი აღგვითქვეს მხარდაჭერა. ჩვენი პროექტი გულისხმობს დასუფთავების კამპანიის წარმოებას თემში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი შეგვპირდა, რომ თავად ჩაერთვება აქციაში, მოგვამარაგებს აქციისთვის საჭირო ინვენტარით, სამუშაო იარაღებით, ასევე აქციაში ჩაერთვება ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“. **ხელი**

## ურეკის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით ზღვისპირა კურორტის მთავარი შესასვლელი დასუფთავდა



11 თებერვალს პროგრამის ,,მომავლის თაობა“ ფარგლებში ურეკის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა ზღვისპირა კურორტის მთავარი შესასვლელი დაასუფთავეს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასთან ერთად, აქციის მონაწილეებმა გაჭედილი სანიაღვრე არხიც ამოწმინდეს. ორკილომეტრიანი მონაკვეთის დასუფთავებაში კლუბს სკოლის მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები დაეხმარნენ. დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარი (ხელთათმანები, პარკები, რგოლაჭიანი ურიკა) ადგილობრივმა თვითმმართველობამ უზრუნველყო. შეგროვებული ნარჩენები, თვითმმართველობის მობილიზებით, დასუფთავების სამსახურმა გაიტანა.

აღნიშნული ინიციატივა ღონისძიებას ,,ვეცნობით ახალ ხელისუფლებას“ მოჰყვა, რომელზედაც სამოქალაქო კლუბის ლიდერმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთ თემებში გამოვლენილი პრიორიტეტული საკითხები და მოიპოვეს კიდეც შესაბამისი მხარდაჭერა ხელისუფლებისგან. **ხელი**

# ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში სამკითხველო კუთხე მოეწყო



2015 წლის 31 მარტს სამოქალაქო განათლების პროგრამის, „მომავლის თაობა“ სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა ერთობლივი ღონისძიება გაიმართა. სასკოლო სამოქალაქო კლუბების მოსწავლეების ინიციატივით ოზურგეთის მზურნველობამოკლებულთა უფასო სასადილოში მოეწყო სამკითხველო კუთხე. სამკითხველო კუთხეში განთავსდა მოსწავლეების ინიციატივით სკოლებში შეგროვებული წიგნები და ჟურნალები. ღონისძიებას შეუერთდა და ინიციატორ მოსწავლეებს წიგნები გადასცა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და სოციალური მომსახურეობის გურიის სამხარეო ცენტრმა; მოსწავლეებმა მზრუნველობამოკლებულთათვის დაამზადეს და გადასცეს კეთილი სურვილების გამომხატველი ხელნაკეთი, მხატვრულად გაფორმებული ღია ბარათები, ასევე სამახსოვრო სუვენირები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი - სამიზნე სკოლების წევრმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები სხვადასხვა საკრავების გამოყენებით. მოსწავლეების ინიციატივის შედეგად სასადილომ შეიძინა ახალი ფუნქცია, დღეიდან იქ მისულ ბენეფიციარებს შესაძლებლობა ექნებათ, თავისუფალი დრო შინაარსიანად გაატარონ და გაეცნონ მრავალფეროვან ლიტერატურას.

ღონისძიებაში ჩაერთო სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ურეკის, გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, კონჭკათის, ქვემო ბახვის, მაკვანეთის, ჯურუყვეთის საჯარო სკოლებიდან. ღონისძიებას შეუერთდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სოციალური მომსახურების გურიის სამხარეო ცენტრი, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, კერძო ბიზნესიდან ნამცხვრის სახლი ,,ტირამისუ’’.

მოსწავლეები ინიციატივის განხორციელების შემდეგაც ადევნებენ თვალყურს სამკითხველო კუთხის ფუნქციონირებას. ისინი სამკითხველო კუთხის ჟურნალ-გაზეთებით განახლების მიზნით დაუკავშირდნენ სხვადასხვა ადგილობრივ გამოცემებს და მიიღეს თანხმობა მათგან, რომ პერიოდულად მიაწოდებენ მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს თავიანთ გამოცემებს; სასადილოს 140 ბენეფიციარი ჰყავს და მათი ნაწილი უკვე აქტიური მკითხველია.

ლეილა სიმსივაძე, 60 წლის - კარგი და სასიკეთო საქმე გაკეთდა სასადილოში სამკითხველო კუთხის მოწყობით. ამან ჩვენს ყოველდღიურობაში სიახლე შემოიტანა და გაგვიხალისა ბენეფიციარებს აქ ყოფნა. მე და ჩემმა მეუღლემ უკვე მესამე წიგნი წავიკითხეთ და ვაპირებთ, მომავალშიც აქტიური მკითხველები ვიყოთ. ხელი



# სტუმრად წითელ ჯვარში

სამოქალაქო განათლების პროგრამა ,,მომავლის თაობა” ფარგლებში ჩამოყალიბებული კოხნარისა და საჭამიასერის სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრები ჩოხატაურის წითელი ჯვრის ფილიალის - ხანდაზმულთა დღის სოციალურ ცენტრს ესტუმრნენ. მოსწავლეებმა ხანდაზმულებს ხელნაკეთი ღია ბარათები, ყვავილების თაიგულები, ნახატები დაუმზადეს და რამდენიმე მუსიკალური ნომერიც შესთავაზეს.

აღნიშნულ ღონისძიებაში სიამოვნებით ჩაერთვნენ ცენტრის ბენეფიციარები და მოსწავლეებთან ერთად შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი. გაიმართა საუბარი ბავშვებსა და ხანდაზმულებს შორის, სადაც მოხუცებმა ახალგაზრდებს გაუზიარეს მათი გამოცდილება სამოქალაქო აქტიურობის კუთხით. ხელი




# ვიზიტები ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და თანამედროვე სახვითი ხელოვნების რეგიონალურ ცენტრში

22 იანვარს პროგარამა ,,მომავლის თაობის” ფარგლებში სამიზნე სკოლებში დაარსებული სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ორ დაწესებულებაში — ოზურგეთის მხართმცოდნეობის მუზეუმში და თანამედროვე სახვითი ხელოვნების რეგიონალურ ცენტრში — იმყოფებოდნენ ვიზიტით. მას შემდეგ, რაც მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები დაათვალიერეს, ისტორიკოსმა მანანა ლომაძემ მოსწავლეებს ჩაუტარა მინილექცია ოზურგეთის თვითმმართველობის მხარდაჭერით განხორციელებულ სამოქალაქო აქტივობებზე. ხოლო სახვითი ხელოვნების ცენტრში ხელოვნებათმცოდნემ — ლია ურუშაძემ მოსწავლეებს გააცნო ხელოვნების ცენტრის ფონდში დაცული უნიკალური ნამუშევრები, მათ შორის ლადო გუდიაშვილის რვა გრაფიკული და ერთი ფერწერული ტილო. მისივე თქმით, ხელოვნების ცენტრი 1989 წლიდან დღემდე აქტიურადაა ჩაბმული არა მხოლოდ საგამოფენო, არამედ სხვა



სახის კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ნოდარ ყენია, საჭამიასერის საჯარო სკოლის მოსწავლე: ჩვენთვის განსაკურთრებით საინტერესო იყო ოზურგეთელი ქალბატონების მიერ მაშინდელი თვითმმართველობის მხარდჭერით გახსნილი საჯარო წიგნთსაცავის ისტორია. ბიბლიოთეკის მესვეური ქალბატონები ელენე გურიელის მეთაურობით, თურმე მოხალესეობრივად მუშაობდნენ აქ. ეს ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, სამაგალითო და გასათვალისწინებელი ფაქტებია. ხელი

# დედამიწის დღე გურიაში



2015 წლის 22 აპრილს სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა'' სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა ინიციატივით დედამიწის დღე გურიის რეგიონის 9 სკოლაში მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. სკოლებში მოეწყო გამწვანებისა და დასუფთავების მაშტაბური აქციები, საინფორმაციო შეხვედრები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ დედამიწას და დაზოგონ მისი რესურსები. აღნიშნულ თემაზე შეიქმნა ათობით ნახატი და პლაკატი, დაიბეჭდა საინფორმაციო ფურცლები, რომლებიც მოსახლეობაში გავრცელდა. მომზადდა საპრეზენტაციო თემები ეკოლოგიაზე, ენერგო და ბიო რესურსებზე, მათ რაციონალურად გამოყენებაზე.

გვანცა გორგილაძე, მაკვანეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ლიდერი - ,,ხშირად ისმის მოწოდებები, რომ გავუფრთხილდეთ დედამიწას, თუმცა ბევრმა არ იცის რა იგულისხმება გაფრთხილებაში. ვფიქრობ, რომ დედამიწაზე ზრუნვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობად უნდა ვაქციოთ, რაციონალურად გამოვიყენოთ ელექტროენერგია, არ დავანაგვიანოთ გარემო და დავრგოთ ბევრი ნარგავი.''



დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მოეწყო ჯურუყვეთის, კოხნარის, საჭამიასერის, მაკვანეთის, ურეკის, სოფელ ოზურგეთის, გურიანთის, ურეკის და კონჭკათის საჯარო სკოლებში. ხელი

# შეხვედრა სტუმრებთან

21 აპრილს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ ცნობილი ფოტოგრაფები გურამ წიბახაშვილი და თინათინ კილურაძე, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი, მხატვარი ავთანდილ თავართქილაძე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეები დაინტერესდნენ ფოტოგრაფების საქმიანობით, მათი ჩართულობით სამოქალაქო აქტივობებში. სტუმრებმა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხეს და ახალგაზრდებს რჩევებიც მისცეს:



გურამ წიბახაშვილი: ,,ფოტოგრაფიის მთავარი დანიშნულება სიახლის აღმოჩენა, დანახვა და მისი ასახვა მგონია, და კიდევ მთავარია მოსწავლეებმა მიიღოთ კარგი განათლება, წაიკითხოთ ბევრი, რადგან ხედვა, რომელიც ასე საჭიროა ფოტოგრაფისთვის, ყალიბდება კარგი განათლებით''.

''მთავარია მოინდომოთ და გქონდეთ სურვილი არსებულის შეცვლის, ამისთვის უამრავი საშუალება და ხერხი არსებობს, ნუ დაელოდებით სხვას, თქვენს თემში არსებული ორმო თქვენვე უნდა ამოავსოთ'' - აღნიშნა თინათინ კილურაძემ.

შეხვედრის დასარულების შემდეგ მოსწავლეებმა თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში გადაინაცვლეს, სადაც დაათვალიერეს ფოტონამუშევრების გამოფენა სახელწოდებით ,, არსად ისე...''

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების პროგრამა ,,მომავლის თაობის'' ფარგლებში ჩამოყალიბებული სამოქალაქო კლუბის წევრებმა ჯურუყვეთის, ურეკის, საჭამიასერის, კოხნარის, გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, კონჭკათის, ქვედა ბახვის და მაკვანეთის საჯარო სკოლებიდან. ხელი

# ჯურუყვეთის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით სკოლის ეზო კეთილმოეწყო



2015 წლის 15 მარტს ჯურუყვეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივით სკოლის ეზოში ხის სკამები დამონტაჟდა, გაშენდა ყვავილნარი და ნაძვნარი. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, თითოეული ნერგის მოვლა-გახარებაზე კონკრეტული მოსწავლე იზრუნებს, რაც ერთგვარი სტიმულია მათთვის, რომ უფრო გულისხმიერად მოეკიდონ საქმეს.

საკლუბო ინიციატივის განხორციელებაში მოსწავლეებმა ჩართეს სკოლის დირექცია და ადგილობრივი თემი. ფიცრები, რკინის კონსტრუქციები და სალებავები სკოლის დირექციამ შეიძინა, ხოლო ნარგავების შეგროვება მოსწავლეებმა სოფლის მოსახლეობის დახმარებით შეძლეს.

,,სკამების დამონტაჟება დიდი ხანია გვინდა, სკოლის ეზოში ჩამოსაჯდომი მართლაც საჭიროა. სამოქალაქო კლუბმა ეს პრობლემა ეფექტურად მოაგვარა სხვადასხვა მხარესთან თანამშრომლობით'' - აღნიშნა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ვიოლეტა კვაჭაძემ. ხელი

# მომავლის თაობა გმობს ძალადობას



2015 წლის 25 თებერვალს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა ღონისძიება ,,მომავლის თაობა გმობს ძალადობას“. ღონისძიება მოეწყო სამოქალაქო განათლების პროგრამის - „მომავლის თაობა“ - სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა ერთობლივი ინიციატივით. შეხვედრაზე მოხდა ძალადობის თემაზე მომზადებული ფორუმთეატრის სპექტაკლის ჩვენება, რის შემდეგაც დამსწრე აუდიტორიამ იმსჯელა პრევენციის გზებზე. შეხვედრაზე სასკოლო სამოქალაქო კლუბების ლიდერმა მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაციები საკუთარ სკოლებში ძალადობის თემაზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. წარმოადგინეს სასკოლო კონკურსებში გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომები: ნახატები, ესსეები. ღონისძიების დასასრულს მონაწილეებმა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული აქცია გამართეს ოზურგეთის ცენტრალურ სკვერში და მშვიდობისა და სიყვარულის ნიშნად სიმბოლურად გაუშვეს ფრანები. ღონისძიებაში ჩართული იყვნენ სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ურეკის, საჭამიასერის, კოხნარის, გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, კონჭკათის, ქვემო ბახვის, მაკვანეთის, ჯურუყვეთის საჯარო სკოლებიდან; აღსაზრდელები ოზურგეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან - ,,მომავლის სხივი“. ღონისძიებას დაესწრო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, ოზურგეთის კულტურის ცენტრისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები.

ხელი

# მცირე გრანტის ფარგლებში სპორტული ღონისძიება ჩატარდა



2015 წლის 16 აპრილს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მცირე გრანტის ,,ჩვენ შევძლებთ“ ფარგლებში სპორტული ღონისძიება მოეწყო. ღონისძიებას ორგანიზება მცირე გრანტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გაუწია. მათი ინიციატივით შეჯიბრში სოფელ საჭამიასერის საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩაერთო. გუნდები ერთმანეთს კალათბურთში შეეჯიბრნენ, სადაც საბოლოო გამარჯვება საჭამიასერის საჯარო სკოლამ მოიპოვა. გამარჯვებული გუნდი სოფელ კოხნარის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელმა ნოდარ ცხომელიძემ თასით დააჯილდოვა. მანვე აღნიშნა, რომ მოხიბლულია მოსწავლეების აქტიურობით, თემის ცხოვრებაში ჩართულობით და მზადაა, მომავალშიც მჭიდროდ ითანამშრომლოს მათთან. მცირე გრანტის განხორციელბის პროცესში თანამშრომლობა უკვე შედგა თანამშრომლობის გზები უკვე დაისახა - ადგილობრივი თვითმმართველობა მომდევნო სპორტულ ღონისძიებაში გამარჯვებულ გუნდსაც გადასცემს თასს, ასევე აქტიურ მოსწავლეებს ექსკურსიას დაუფინანსებს.

ღონისძიებაში ჩაერთო ასამდე ადამიანი, მათ შორის მოსწავლეები, მასწავლებლები, ადგილობრივი თვითმმართველობა და დაინტერესებული მოსახლეობა კოხნარისა და საჭამიასერის თემებიდან.

მცირე გრანტის ფარგლებში სკოლა აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, მოსწავლეებმა ჩაატარეს სათემო კვლევა ცხოვრების ჯანსაღი წესის კუთხით ახალგაზრდების ინფორმირების დონის დასადგენად, მომზადდა და თემში გავრცელდა საინფორმაციო ლიფლეტები, მოსწავლეებმა სტუმრად მოიწვიეს ექიმი და სპორტული გამოცდილების მქონე ადამიანი, ჩატარდა მხიარული სტარტები და შეჯიბრი კალათბურთსა და ფრენბურთში.

ხელი

# ტრენინგი თემაზე ,,ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება“



27 იანვარს სამოქალაქო განათლების პროგრამა ,,მომავლის თაობის'' ფარგლებში დაარსებული სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეებისთვის ტრენინგი ჩატარდა თემაზე ,,ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება''. მოსწავლეები გაეცნენ ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორცელების ეფექტურ მეთოდებს და ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას სწორედ იმ ინიციატივებზე იმუშავეს, რომელთა დაგეგმვასა და განხოციელებას თავიანთ სკოლასა და თემში აპირებენ.

ნათია ღლონტი, გურიანთის საჯარო სკოლის მოსწავლე: ტრენინგზე შევისწავლეთ, თუ როგორ გამოვკვეთოთ პრობლემა, როგორ მოვარგოთ ინიციატივა სკოლის, თემის საჭიროებებს. ასევე მივიღეთ რჩევა, რომ ინიციატივის განხორციელების პროცესში ჩავრთოთ სხვადასხვა ორგანიზაცია, სოფლის თვითმმართველობა.

ანა ჰუგასიანი, სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის მოსწავლე: დღევანდელი ტრენინგიდან შევიტყვე, თუ როგორ გავააქტიუროთ უფრო მეტად ჩვენი მეგობრები, რათა ერთობლივად ვიზრუნოთ აქტიური მოქალაქეობის ჩამოყალიბებაზე. ჩვენ ვამზადებთ ინიციაიტივას სკოლის ეზოში არსებული სპორტული მოედნის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. დიდი იმედი მაქვს, განხორციელების პროცესში სკოლის ყველა მოსწავლეს ჩავრთავთ, სოფელსაც გავააქტიურებთ და ერთობლივი ძალისხმევით მივაღწევთ კონკრეტულ შედეგს.

ხელი

საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება PH-International-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. იგი წარმოადგენს პროგრამის საანგარიშო გამოცემას. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

გამოცემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და ასევე
თანამშრომლობის მსურველ მოზარდებსა და პედაგოგებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი – ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 0496 27 41 26 / მობილური: 599 156384 / ელ—ფოსტა: GYRC.INFO@GMAIL.COM